

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი #4

ქ. ონი

18. 04. 2019 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე შუქურა ჯაფარიძე.

საკრებულოს 33 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 23 წევრი: შუქურა ჯაფარიძე, ბაჩანა მარკოიშვილი, ვასილ მეტრეველი, ჯონი ბურდილაძე, ვასილ მაისურაძე, სონია გუგეშაშვილი, გოჩა მეტრეველი, გივი მეტრეველი, ვლადიმერ ჩლაიძე, ვანო ბაღაშვილი, დიმიტრი გოშაძე, დავით სხირტლაძე, ვლადიმერ ბერელიძე, ჭაბუკა კერვალიშვილი, გიორგი მეტრეველი, გიორგი სულაძე, სერგო ლობჯანიძე, მამია ყავლაშვილი, გიორგი მაისურაძე, ბესიკი მაისურაძე, შორენა რეხვიაშვილი, გელა მეტრეველი, აველი ორდინიძე.

არ ესწრებოდა 10 წევრი: ანა ბაქრაძე, დავით მეტრეველი, ღვთისავერ ბაკურაძე, კესო ჩარკვიანი, გიორგი მარკოიშვილი, ნოდარ ბურდილაძე, ბექარი მაისურაძე, ალექსანდრე ბერიშვილი, როზა ჩალაძე, ირმა სტეფანაძე-იაშვილი.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის უფროსი ალექსანდრე კერვალიშვილი, მუნიციპალიტეტის მერი ემზარ საბანაძე, მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი კობა მეტრეველი, საფინანსო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარებისა და ანალიზის განყოფილების უფროსი თინათინ ბროლაშვილი, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი თეიმურაზ გრძელიშვილი, ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი ირმა მაისურაძე, ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილების უფროსი მაგდა მაისურაძე, სატყეო-სააგენტოს ონის სატყეო უბნის უფროსი ელდარ რატიანი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ონის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი-ემზარ საბანაძე -მუნიციპალიტეტის მერი/

2. ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი-კობა მეტრეველი-საფინანსო სამსახურის უფროსი/

3. ონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

/მომხსენებელი-კობა მეტრეველი-საფინანსო სამსახურის უფროსი/

4. „ონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის #14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი-მაგდა მაისურაძე-ადამიანური რესურსების მართვის საზ. ურთიერთობისა და საინფ. განყ. უფროსი)

5. 2019 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განაწილებული თანხების ცვლილების თაობაზე.

/მომხსენებელი-თეიმურაზ გრძელიშვილი-ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი)

6.საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 431 და 432მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი-ირმა მაისურაძე-მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი)

7. ინფორმაცია 2019 წლის ზამთრის სეზონთან დაკავშირებით მეორე ხარისხის მერქნის გამოყოფის თაობაზე.

/მომხსენებელი- ვანო ბაღაშვილი-გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე/

8. სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2018 წლის სამ თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი-სონია გუგუშაშვილი-კომისიის წევრი/

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

მოისმინეს: 1. ონის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი-ემზარ საბანაძე -მუნიციპალიტეტის მერი/

ე. საბანაძემ სხდომას წარუდგინა ანგარიში 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ. ვრცლად ისაუბრა 2018 წელს მუნიციპალიტეტში განხორციელებული როგორც ინფრასტრუქტურული, ისე კულტურული, საგანმანათლებლო და სხვ. პროექტების შესახებ, ასევე ისაუბრა მუნიციპალიტეტის წინაშე მდგარი გამოწვევებისა და პრობლემების და მათი მოგვარების გზებზე. შეეხო იმ პრიორიტეტულ საკითხებს, რომელთა მოგვარებაც უმნიშვნელოვანესია მოსახლეობისთვის და აღნიშნა, რომ გასულ წელთან შედარებით გაცილებით მეტი სამუშაოები იგეგმება მიმდინარე წელს, სხდომას გააცნო როგორც უკვე გამოცხადებული ტენდერების, ისე შერჩევის პროცესში არსებული და ასევე იმ ტენდერების შესახებ, რომლებზეც მიმდინარეობს ხელშეკრულების გაფორმება. ისაუბრა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ და სოფლების წარმომადგენლებისა და საკრებულოს წევრების ერთობლივ და აქტიურ ჩართულობაზე ამ სამუშაოების შესრულებისას. ასევე ისაუბრა ნაგავსაყრელების პრობლემაზე და მათი მოწესრიგების აუცილებლობაზე, ონის ბაგა-ბაღში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებასა და ბაღის ავტორიზაციისთვის მომზადებაზე, რისთვისაც იგეგმება ან ყოფილი ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია, ან თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ბაგა-ბაღის მშენებლობა. ისაუბრა აგრეთვე სასმელი წყლის ხარისხის გაუმჯობესების კუთხით დაგეგმილი სამუშაოების შესახებ, ასევე, როგორც მან აღნიშნა, გადაწყდა მუზეუმის მშენებლობის საკითხი, სამომავლოდ იგეგმება ღები-სასვანოს გზის მშენებლობა.

ვ. მეტრეველმა ისაუბრა სოფ. უწერაში, ვ. ჩლაიძემ კი სოფ. ბარში სასმელი წყლის რეაბილიტაციის აუცილებლობაზე, რაზეც მუნიციპალიტეტის მერმა განაცხადა, რომ სასმელი წყლის პრობლემა ყველა სოფელში ეტაპობრივად მოგვარდება.

საკრებულოს წევრებმა მუნიციპალიტეტის მერის 2018 წელს გაწეული მუშაობა დადებითად შეაფასეს.

მოისმინეს: 2. ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი-კობა მეტრეველი-საფინანსო სამსახურის უფროსი/

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდეს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მოისმინეს: 3. ონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

/მომხსენებელი-კობა მეტრეველი-საფინანსო სამსახურის უფროსი/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი .

მოისმინეს: 4. „ონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის #14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი-მაგდა მაისურაძე-ადამიანური რესურსების მართვის საზ. ურთიერთობისა და საინფ. განყ. უფროსი)

მ. მაისურაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი, საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის #14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და აღნიშნა, რომ 100 ლარით გაიზარდა იმ პირველი კატეგორიის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგო, რომელთა ხელფასიც შეადგენდა 600 ლარს.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდეს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი .

მოისმინეს: 5. 2019 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განაწილებული თანხების ცვლილების თაობაზე.

/მომხსენებელი-თეიმურაზ გრძელიშვილი-ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი)

თ. გრძელიშვილმა სხდომას წარუდგინა განკარგულების პროექტი 2019 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განაწილებული თანხების ცვლილების თაობაზე.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოისმინეს: 6. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 431 და 432 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი-ირმა მაისურაძე-მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი)

ი. მაისურაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 431 და 432 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდეს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი .

მოისმინეს: 7. ინფორმაცია 2019 წლის ზამთრის სეზონთან დაკავშირებით მეორე ხარისხის მერქნის გამოყოფის თაობაზე.

/მომხსენებელი- ვანო ბაღაშვილი-გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე/

ვ. ბაღაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო ინფორმაცია 2019 წლის ზამთრის სეზონთან დაკავშირებით მეორე ხარისხის მერქნის გამოყოფის თაობაზე.

ე. რატიანმა ვრცლად ისაუბარა ამ კუთხით მუნიციპალიტეტში არსებულ პრობლემებზე და ამ პრობლემების აღმოფხვრის გზებსა და გაწეული მუშაობის შესახებ.

ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ინფორმაცია.

მოისმინეს: 9. სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2018 წლის სამ თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი-ს.გუგეშაშვილი-კომისიის წევრი/

მომხსენებლის, გ. მარკოიშვილის არ ყოფნის გამო, სხდომაზე საკითხი წარმოადგინა კომისიის წევრმა სონია გუგეშაშვილმა. მან საკრებულოს წევრებს გააცნო სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2018 წლის სამ თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ინფორმაცია.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

შუქურა ჯაფარიძე

საკრებულოს თავმჯდომარე